www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოსახლეობის რიცხოვნობა
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

30.04.2018

www.geostat.ge

30.04.2018

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით[1]

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3 729.6 ათასი კაცი შეადგინა და წინა წელთან შედარებით 0.1 პროცენტით გაიზარდა[2]. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს დაფიქსირდა დადებითი ბუნებრივი მატება (სხვაობა ცოცხლად დაბადებულთა და გარდაცვლილთა რიცხოვნობას შორის) და 5 471 კაცი შეადგინა.

საქართველოს მოსახლეობის 58.3 პროცენტი ცხოვრობს საქალაქო დასახლებებში. ამასთან, ქ. თბილისის მოსახლეობა მთლიანი მოსახლეობის თითქმის მესამედია.

ცხრილი 1: მოსახლების რიცხოვნობა რეგიონების და დასახლების ტიპის მიხედვით (ათასი კაცი)

რეგიონები	სულ	მათ შორის:	
		საქალაქო	სასოფლო
საქართველო	**3 729.6**	**2 174.8**	**1 554.8**
ქ. თბილისი	1 158.7	1 128.4	30.3
აჭარის ა.რ	346.3	195.2	151.1
გურია	110.5	31.6	78.9
იმერეთი	507.0	247.8	259.2
კახეთი	314.7	71.4	243.3
მცხეთა-მთიანეთი	93.9	21.9	72.0
რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	30.2	6.9	23.3
სამეგრელო-ზემო სვანეთი	320.8	126.5	194.3
სამცხე-ჯავახეთი	155.9	55.0	100.9
ქვემო ქართლი	432.3	187.1	245.1
შიდა ქართლი	259.3	102.9	156.4

შენიშვნა: შესაძლო მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

წინა წელთან შედარებით მამაკაცების წილი მთელ მოსახლეობაში 0.3 პროცენტით გაიზარდა და შეადგინა 1 791.6 ათასი კაცი, ხოლო ქალების წილი 0.1 პროცენტით შემცირდა და შეადგინა 1 938.1 ათასი კაცი. საქართველოს მოსახლეობის 48 პროცენტი მამაკაცი, ხოლო 52 პროცენტი - ქალია.

2018 წელს, საქართველოს მოსახლეობის მედიანური ასაკი მამაკაცებისთვის 35 წელი, ხოლო ქალებისთვის 40 წელია.

[1] მონაცემები არ მოიცავს ოკუპირებულ ტერიტორიებს

[2] 1994-2013 წლების ძირითადი დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშების შემდეგ, დინამიკური მწკრივის უწყვეტად გაგრძელების მიზნით, მცირედით შეიცვალა 2015-2017 წლების მოსახლეობის რიცხოვნობა

ცხრილი 2: მოსახლეობის რიცხოვნობა სქესისა და ასაკის მიხედვით (ათასი კაცი)

ასაკი	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი
0-4	278.2	143.9	134.3
5-9	256.0	133.7	122.3
10-14	210.7	111.6	99.1
15-19	208.6	110.4	98.2
20-24	224.7	117.2	107.4
25-29	273.3	137.7	135.6
30-34	273.1	136.9	136.1
35-39	251.7	124.6	127.1
40-44	242.1	119.7	122.4
45-49	235.5	114.7	120.8
50-54	244.8	116.5	128.2
55-59	261.6	120.5	141.1
60-64	223.2	98.3	124.9
65-69	187.5	78.0	109.4
70-74	108.8	42.6	66.1
75-79	126.1	45.1	81.0
80-84	79.5	27.1	52.4
85+	44.3	12.9	31.4
სულ	**3 729.6**	**1 791.6**	**1 938.1**

შენიშვნა: შესაძლო მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

საქართველოში 0-14 წლის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 20.0 პროცენტია, შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობის (15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი) წილი - 65.4 პროცენტი, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 14.6 პროცენტია.

დიაგრამა 1: მოსახლეობის განაწილება (%) ძირითადი ასაკობრივი ჯგუფების და სქესის მიხედვით



ახალგაზრდა ასაკში მამაკაცების წილი მთლიან მოსახლეობაში ჭარბობს ქალებისას, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში ქალები ჭარბობენ მამაკაცებს, რაც გამოწვეულია მამაკაცებთან შედარებით ქალების უფრო მაღალი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობით.

დიაგრამა 2: მოსახლეობის განაწილება (%) სქესის და ასაკის მიხედვით



2017 წელს სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას შეადგენდა 73.5 წელს, მათ შორის მამაკაცებისათვის 69.2 წელს, ხოლო ქალებისათვის - 77.8 წელს.

მიგრაცია

2017 წელს ემიგრანტების რიცხოვნობამ 85 451 კაცი, ხოლო იმიგრანტების რიცხოვნობამ 83 239 კაცი შეადგინა. იმავე პერიოდში მიგრაციული სალდოს (სხვაობა იმიგრანტებისა და ემიგრანტების რიცხოვნობას შორის) უარყოფითი მაჩვენებელი (-2 212) დაფიქსირდა.

საკონტაქტო პირები: პაატა შავიშვილი, ტელ.: +995 32 236 72 10 (601); ელ-ფოსტა: shavishvili@geostat.ge;
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: +995 32 236 72 10 (020); ელ-ფოსტა: mkavelashvili@geostat.ge